საკანონმდებლო წინადადება

ანდერძთან დაკავშირებული სანოტარო ქმედებებზე
საკონსულო უფლებამოსილების შეზღუდვა

- **ცვლილების სახეობა:** „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** 2010 წლის 12 ივნისს მიღებულმა "საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონმა, აღარ განსაზღვრა რიგი სანოტარო მოქმედებებისა, რომელიც მისი წინამორბედი საკანონმდებლო რეგულაციით *(საკონსულო დაწესებულებათა შესახებ საქართველოს კანონი) იყო დადგენილი (მაგალითად მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა, სააღმსრულებლო წარწერების შესრულება, დეპოზიტზე ფულადი თანხების და ფასიანი ქაღალდების აღება, დოკუმენტების შესანახად ჩაბარება, მტკიცებულებების უზრუნველყოფა).* სავარაუდოდ ხსენებული ასევე განპირობებული იყო საკონსულო თანამდებობის პირის შესაბამისი რესურსის არქონითა და შესაძლებლობით, რომელიც ზემოხსენებული მოქმედებების განხორციელებას უკავშირდება. თუმცა, დღეს მოქმედი საკონსულო კანონმდებლობა ასევე სავარაუდოა, რომ არ პასუხობდეს არსებულ გამოწვევებსა თუ სამართლებრივ ჩარჩოს. „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლით საკონსულო ფუნქციათა შორის განსაზღვრულია, როგორც ანდერძით დამოწმების, ასევე, ანდერძის გაუქმების სანოტარო მოქმედებები. საგულისხმოა, რომ მოცემულ მომენტამდე არ არის მიღებული საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება სანოტარო მოქმედებების შესრულების წესის შესახებ, ამასთან, საკონსულო საინფორმაციო ვებ პორტალზე www.geoconsul.gov.ge აღნიშნულია, რომ ანდერძის გაუქმების დროს მოქმედებს იგივე წესები, რაც ანდერძის გაფორმების დროს[1]. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 01/04/2010 71 ბრძანებით დამტკიცებული სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ანდერძი უნდა გაუქმდეს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 1398–ე მუხლში მოცემულია ანდერძის შეცვლისა და მოშლის საშუალებები:
  - ანდერძის შეცვლა შესაძლებელია ახალი ანდერძის შედგენით. მოანდერძეს ახალ ანდერძში შეუძლია მიუთითოს, თუ რა ცვლილებები შეაქვს ძველ ანდერძში. თუ ახალ ანდერძში ცვლილებების შესახებ არაფერია აღნიშნული,

[1] იხ. ბმული: https://www.geoconsul.gov.ge/HtmlPage/Html/View?id=77

მაშინ გაუქმებულად ჩაითვლება წინა ანდერძის ის ნაწილი, რომელიც ახალ ანდერძს ეწინააღმდეგება; ახალი ანდერძი თუ მთლიანად ეწინააღმდეგება ძველს, იგულისხმება, რომ ძველი ანდერძი მთლიანადაა გაუქმებული. ასევე შესაძლებელია მოანდერძემ მიუთითოს ახალ ანდერძში, რომ ძველს მთლიანად აუქმებს.

- ანდერძის გაუქმება ახალი ანდერძის შედგენის გარდა, შესაძლებელია სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით და ანდერძის ყველა ეგზემპლარის მოსპობით ან ნოტარიუსის მიერ მოანდერძის განკარგულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ანდერძის გაუქმებისთვის ცალკეული სანოტარო მოქმედება არ ხორციელდება. იგი შეიძლება განხორციელდეს ან ახალი ანდერძის დადასტურებით (რაც პირდაპირ აუქმებს წინა ანდერძს ან მის იმ ნაწილს, რომელიც ახალ ანდერძს ეწინააღმდეგება) ან ცალკეული განცხადებით/ მითითებით, რომელიც სანოტარო მოქმედებასაც არ განეკუთვნება. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ ქმედებად ანდერძის გაუქმება არც საქართველოს მთავრობის 29/12/2011 507 დადგენილებით დამტკიცებულ სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების 31-ე მუხლით არის გათვალისწინებული. ხსენებული ნორმით, გარდა ანდერძის დადასტურებისათვის თანხის განსაზღვრისა, ასევე დადგენილია ანდერძის გახსნის შესახებ ოქმის შედგენისათვის[2] საზღაურის მყარი განაკვეთი. ეს უკანასკნელი ქმედება კი არც „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში და არც „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონში არ გვხვდება.

- **იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრაც საკანონმდებლო წინადადების მიზანია:** ანდერძთან დაკავშირებული საკონსულო ფუნქციების საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამობა.

თუმცა, კითხვები შეიძლება არსებობდეს საკონსულო თანამდებობის პირის მიერ ანდერძის შედგენის მართლზომიერებასთან დაკავშირებითაც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1326-ე მუხლის მიხედვით სამკვიდროს გახსნის ადგილად იმ

---

2 მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ ნოტარიუსი ნიშნავს დღეს და გააცნობს ანდერძის შინაარსს დაინტერესებულ პირებს რის თაობაზედაუნდა შედგეს სათანადო ოქმი თუ კონვერტი, რომელშიც ანდერძია მოთავსებული, დალუქული იყო ,უნდა აღინიშნოს ლუქის მთლიანობის შესახებ სანოტარო ბიუროში შესანახი ანდერძი უნდა მოთავსდეს კოკნვერტში და დაილუქოს. მოანდერძის გარდაცვალების შემთხვევაში დაინტერესებული პირის მიერ გარდაცვალების მოწმობის წარდგენის შემთხვევაში, ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სანოტარო ბიუროში წარდგენის შემდეგ ნოტარიუსი ვალდებულია, დანიშნოს დალუქული ანდერძის გამოქვეყნების დღე და მოიწვიოს დაინტერესებული პირები.

პირთა გრდაცვალების შემდეგ, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ, ითვლება ის ქვეყანა სადაც ისინი ცხოვრობდნენ. ხოლო ამავე კოდექსის 1327-ე მუხლის მიხედვით საქართველოს მოქალაქე, რომელიც საქართველოში ცხოვრობს უცხო სახელმწიფოში სამკვიდროს მიიღებს ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით[3]. როგორც ჩვენთვის ცნობილია კანონმდებლობა იცნობს ანდერძის რამდენიმე სახეს და ამ ნაწილში არ ზღუდავს მამკვიდრებელს, რათქმაუნდა ანდერძის წერილობითი ფორმა განიხილება მხოლოდ. სამოქალაქო კოდექსის 1357-ე მუხლის მიხედვით, ანდერძი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით. ასეთი ანდერძი შეიძლება დადასტურდეს სანოტარო წესით, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის თვითმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ. სავალდებულო არ არის ყველა ანდერძის დადასტურება. კანონი არ განსაზღვრავს თუ რა შემთხვევაში უნდა დადასტურდეს ანდერძი ნოტარიულად და როდის არის ამის გაკეთება საჭირო. ამ საკითხს წყვეტს თვითონ მოანდერძე. სანოტარო ფორმა კი მოითხოვს იმას, რომ ანდერძი შედგენილი და ხელმოწერილი იქნეს მოანდერძის მიერ და დადასტურებული იქნეს ნოტარიუსის ან მასთან გათანაბრებული პირების მიერ.მ„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის თანახმად, სანოტარო მოქმედებები, ნოტარიუსის გარდა, შეიძლება შეასრულონ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო

[3] მამკვიდრებელი, როცა გარდაიცვალა და ანდერძი დატოვა მისი აღსრულების გარანტიც უნდა ჰქონდეს მას, ვინაიდან ანდერძის დაწერას რა მნიშვნელობა ექნება თუ არ იქნება აღსრულების პერსპექტივა, ასეთ შემთხვევაში ანდერძის არსებობა როგორც საქართვცელოს, ასევე უცხო ქვეყნის კანონმდებლობაში აზრს დაკარგავს ვინაიდან ამგავრი ფორმით დაწერილი და შეუსრულებელი ანდერძი არაფრის მომცემი არ იქნება თუ არ აღსრულდა, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მე-17 მუხლი რომელიც არეგულირებს უცხო ქვეყანაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების საკითხებს, კერძოდ, თუ საქართველოს კანონმდებლობა საქმის წარმოების შიდა კომპეტენციას არ ითვალისინებს და ამავე დროს შეუძლებელია საქმის აღძვრა უცხო ქვეყანაში ან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე პროცესის იქ წარმოებას აზრი არ აქვს, კომპეტენტურია საქართველოს იმ ტერიტორიაზე არსებული სასამართლო, სადაც უცხო ქვეყანაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს ჰქონდა ბოლოს საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 55-ე და 56-ე მუხლები, რომლებიც არეგულირებს სამემკვიდრეო სამართალს, გვხვდება შემდეგი საკანონმდებლო განმარტება: მემკვიდრეობითი ურთიერთობები წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც მამკვიდრებელი გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა. მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ გამოიყენება იმ ქევეყნის სამართალი, სადაც მას ჰქონდა უკანასკნელი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ასეთის არ არსებობის შემთხვევაში კი გამოიყენება საქართველოს სამართალი. აგრეთვე ანდერძი ითვლება ფორმის დაცვით შედგენილად, თუ იგი შეესაბამება იმ ქვეყნის სამართალს: რომელსაც მამკვიდრებელი გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა, აგრეთვე, სადაც მამკვიდრებელს გარდაცვალებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, სადაც იმყოფებოდა უძრავი ქონება, რომელსაც ეხება ანდერძი. ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის შეფასებისას, შესაძლოა გასათვალისწინებელი იყოს საქართველოს მოქალაქის ბინადრობის ნებართვა, ემიგრაციის ნებართვა, საკონსულო აღრიცხვა ან/და პასპორტიზაციით გათვალისწინებული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციის პროცესი.

დაწესებულებების სათანადოდ უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ საკონსულო დაწესებულებებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების საქმიანობის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტებით <u>და ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნებით.</u> თუმცა, ამავე კანონის 43-ე მუხლის (თანამდებობის პირთა მიერ იმ ანდერძებისა და რწმუნებულებების დადასტურება, რომლებიც უთანაბრდება სანოტარო წესით დადასტურებულ დოკუმენტებს) თანახმად:

1. <u>სანოტარო წესით დადასტურებულ დოკუმენტებს უთანაბრდება:</u>

   ა) **საავადმყოფოში,** სხვა სტაციონარულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში, სანატორიუმში სამკურნალოდ მყოფ ან მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ საავადმყოფოს, სამკურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავარი ექიმის, სამედიცინო ნაწილში მისი მოადგილის ან მორიგე ექიმის მიერ, აგრეთვე მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლების დირექტორისა და მთავარი ექიმის მიერ; ჰოსპიტალში, სანატორიუმსა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებებში სამკურნალოდ მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა და სხვა პირთა ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია ამ ჰოსპიტლის, სანატორიუმისა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულების უფროსის, სამედიცინო ნაწილში მისი მოადგილის, უფროსის ან მორიგე ექიმის მიერ;

   ბ) საქართველოს ალმით მცურავ **საზღვაო გემზე ან საჰაერო ხომალდზე** მყოფ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ საზღვაო გემის კაპიტნის ან საჰაერო ხომალდის მეთაურის მიერ;

   გ) **საძიებო-სადაზვერვო** და სხვა, მათ მსგავს **ექსპედიციებში** მყოფ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია შესაბამისი ექსპედიციის უფროსის მიერ;

   დ) **სამხედრო მოსამსახურეთა ანდერძები** და რწმუნებულებანი, ხოლო იმ ჯარის ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სამხედრო სასწავლებლის დისლოკაციის პუნქტებში, სადაც არ არის სანოტარო ბიურო და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა ორგანოები, – აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა, მათი ოჯახის წევრებისა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრების ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია ამ ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაურის (უფროსის) მიერ;

   ე) **პენიტენციურ დაწესებულებაში** მოთავსებულ პირთა ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია ამ დაწესებულების დირექტორის მიერ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირებს ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისი ქვეპუნქტით გათვალისწინებული სანოტარო მოქმედების შესრულების უფლებამოსილება ენიჭებათ მხოლოდ ელექტრონული სანოტარო რეესტრის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში;
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოანდერძე ჩვეულ საყოფაცხოვრებო პირობებში დაბრუნებისთანავე ანდერძს წარუდგენს ნოტარიუსს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი სანოტარო მოქმედების რეგისტრაციას ელექტრონულ სანოტარო რეესტრში. ჩვეულ საყოფაცხოვრებო პირობებში დაბრუნებამდე მოანდერძის გარდაცვალების შემთხვევაში ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირები ვალდებული არიან მათთან დაცული ანდერძები ოფიციალური დეპონირებისათვის წარუდგინონ ნოტარიუსს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი სანოტარო მოქმედების რეგისტრაციას ელექტრონულ სანოტარო რეესტრში.

ასევე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომლის 1357-ე მუხლის თანახმად:

1. „ანდერძი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით. ამასთან, დასაშვებია წერილობითი ანდერძი სანოტარო ფორმით ან ამის გარეშე;

2. სანოტარო ფორმა მოითხოვს, რომ ანდერძი შედგენილი და ხელმოწერილ იქნეს მოანდერძის მიერ და დადასტურებული ნოტარიუსის მიერ, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის, თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ. რაც შეეხება ნოტარიუსთან გათანაბრებულ პირებს. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ანდერძის დადასტურებისას ნოტარიუსთან გათანაბრებული პირები არიან:

ა) **საავადმყოფოს,** ჰოსპიტალისა და სხვა სამკურნალო დაწესებულებების, სანატორიუმის მთავარი ექიმი, უფროსი, მათი მოადგილე სამედიცინო ნაწილში, მორიგე ექიმი, თუ მოხუცებულტა და ინვალიდთა სახლის დირექტორი ან მტავარი ექიმი, თუ მოანდერძე ამ დაწესებულებაში მკურნალობს ან ცხოვრობს;

ბ) საძიებო, გეოგრაფიული და სხვა მსგავსი **ექსპედიციის** უფროსი, თუ მოანდერძე ასეთ ექსპედიციაში იმყოფება; გ) გემის კაპიტანი ან საჰაერო ხომალდის მეთაური, თუ მოანდერძე გემზე ან საჰაერო ხომალდზე იმყოფება;

დ) **სამხედრო** ნაწილის, სენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაური, თუ სამხედრო ნაწილის დისლოკაციის პუნქტში ნოტარიუსი არ არის და მოანდერძე სამხედრო მოსამსახურე ან სამხედრო ნაწილში მომსახურე სამოქალაქო პირი ან მათი ოჯახის წევრია;

ე) **თავისუფლების აღკვეთის** ადგილის უფროსი, თუ მოანდერძე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფება.

ზემოხსენებულმა გარემოებებმა შესაძლოა შექმნას დამატებით კითხვები საკონსულო თანადებობის პირის მიერ გაფორმებული ანდერძის ძალმოსილებასთან[4] დაკავშირებითაც, დავის წარმოების შემთხვევაში თუ რომელს მიენიჭება უპირატესი იურიდიული ძალა - წინა პერიოდში სანოტარო ბიუროში დამოწმებულ ანდერძს თუ შემდგომში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ დამოწმებული ახალი ანდერძს. მოცემულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნებოდა „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლით ანდერძთან დაკავშირებული მოქმედებების განსაზღვრის მართლზომიერების შეფასება, მათ შორის გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული უფლებები[5] და საჭიროებიდან გამომდინარე, განხორციელდეს შესაბამისი პუნქტების ამოღება/ კორექტირება.

- **კანონპროექტის მიზანი**: კანონპროექტის მიზანია საკონსულო კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა სამემკვიდრეო სამართლით გათვალისწინებულ პროცედურასთან და შესაძლებობებთან.
- **კანონის პროექტის ძირითადი არსი:** კანონპროექტის თანახმად, კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნება „ა" ქვეპუნქტი, რითაც ანდერძთან დაკავშირებული სანოტარო უფლებამოსილებები შეეზღუდება საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირს.

- **საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი:**

  საქართველოს მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძე,** პირადი ნომერი [redacted]
  მცხ.: [redacted] საფოსტო ინდექსი [redacted]

---

[4] ანდერძის სამართლებრივი ძალის გარკვევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი ფორმის საკითხსაც, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 1357-ე მუხლითაა წარმოდგენილი. თუ მამკვიდრებელმა რამდენიმე ანდერძი შეადგინა, რომელთაგან ერთ–ერთი შედგენილია სანოტარო ფორმით, დანარჩენი კი არა, უპირატესობა სანოტარო ფორმით შედგენილ ანდერძს მიენიჭება. მისი უპირატესობა იმაშიც ვლინდება, რომ იგი არ შეიძლება მოიშალოს სხვა ფორმის ანდერძით. სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძი შეიძლება შეიცვალოს ან მოიშალოს მხოლოდ ამავე ფორმით შედგენილი ანდერძით ან სანოტარო ორგანოში შეტანილი განცხადებით. შინაურული ანდერძის შესაცვლელად ან მოსაშლელად სავალდებულო არ არის სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძი. ეს შეიძლება ახალი შინაურული ანდერძით მოხდეს. ანდერძთა კონკურენცია არ დაიშვება მაშინ, როცა მამკვიდრებელმა ქონების ერთი ნაწილი გაითვალისწინა სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძით, ხოლო მეორე ნაწილი კი მოგვიანებით სხვა ფორმის ანდერძით გაანაწილა სხვა მემკვიდრეებს შორის. ასეთ შემთხვევაში ორივე ანდერძი ძალაშია, რადგან შემდგომი ანდერძი არ ცვლის და არც აუქმებს წინა ანდერძს. იგი მხოლოდ ავსებს ნოტარიალურად დადასტურებულ ანდერძს. ანდერძებს შორის უპირატესობის განსაზღვრა მაშინ დგება დღის წესრიგში, როცა ისინი სხვადასხვანაირად წყვეტენ სამკვიდრო ქონების მემკვიდრეებს შორის განაწილების საკითხს.

[5] შინაურული ანდერძის ალტერნატივად შესაძლებელია განვიხილოთ განცხადებაზე ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება, სადაც გამოიხატება მოქალაქის ნება.

ელ. ფოსტა: [redacted]; მობ.: [redacted]



08/08/2022